KA030106887705819

**№ 01-2718** **20 / მარტი / 2019 წ.**

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს ბატონ ნოე ქინქლაძეს

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს ქალბატონ მარინა დარახველიძეს

კოლეგებო,

გიგზავნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 15 მარტის № 01/10521 წერილს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თანდართულ წერილთან ერთად, რომელიც ეხება საგანგებო სიტუაციებისა და ეპიდაფეთქებებით გამოწვეული გაუთვალისწინებელი შემთხვევების მართვის მიზნით, სარეზერვო ფონდში ნებაყოფლობითი ფინანსური შენატანის განხორციელებას.

აღნიშნული ფონდის დახმარებით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ უზრუნველყო სხვადასხვა ეპიდაფეთქებებისა და საგანგებო სიტუაციების ეფექტური მართვა.

შესაბამისად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, უზრუნველყონ ნებაყოფლობითი ფინანსური შენატანის განხორციელება აღნიშნულ ფონდში.

გთხოვთ, მიმდინარე წლის 30 მარტამდე გვაცნობოთ თქვენი პოზიცია წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია